ქ. ხაშურში დემეტრე თავდადებულის ქუჩისა და მე-5 სკოლასთან მისასვლელი გზის, ძნელადი ქუჩის და კოსტავას ქუჩის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება

მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

სოფელ კოდის ტერიტორიაზე ჩასახლებული დენილებისათვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

2010

ქ. გორში ქუჩების რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

გორის მუნიციპალიტეტი. სოფ. ფხვენისისა და ქვემო ხვითის სარწყავი არხის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

2010

ქ. გორში საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

2010

საგურამო-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის „საგურამო-ხაშურის“ 0-100,7 კილომეტრი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტის დერეფანში მოყოლილი მიწის ნაკვეთების აზომვა და საკადასტრო რუკების მომზადება.

2010

გორის მუნიციპალიტეტში შემაჯალი საშუალო და დაბალი წნევის გაზის მილსადენების საკადასტრო გეგმების მომზადება

2010

ქ. გორში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობის მარადობის შესწავლა და დასკვნის მომზადება





2010

სოფელ სკრაში ლტოლვილთა კომპაქტურად ჩასახლების და საყოფაცხოვრებო წყლების მოშორების ღონისძიებებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

ქარელის მუნიციპალიტეტი.სოფელ მოხისში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებაში ზედაპირული და საყოფაცხოვრებო წყლების დრენაჟისა და დატბორვის პრობლემის აღმოფხვრითი ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

ასპინძის რაიონში მშენებარე წყალსაცავამდე სოფ. ხიზაბავრადან და სოფ. ვარგავიდან სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისათვის საჭირო საავტომობილო გზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა.

2010

გორის რაიონი. სოფ. არბო, ტირძნისი და მელერეკისი ეკლესიების ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვა..

2011

ქარელის რაიონი. ყინწვისისი სამონასტრო კომპლექსისი ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვა.



განათლება:

1979–1984

საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი.  
სატყეო–სამეურნეო და საინჟინრო–მიწათმოქმედების  
ფაკულტეტი. სპეციალობა: ინჟინერ-მიწათმოქმედობი.

პროფესიული გამოცდილება:

1984-89

საქართველოს მიწათმოქმედების საპროექტო ინსტიტუტი.  
საპროექტო ჯგუფის უფროსი.

1989–91

გორის ციხე მუზეუმ – ნაკრძალის დირექტორი.

1992–99

ქ. გორის რ–ნის მიწის მართვის სამმართველოს  
უფროსის მოადგილე – მთავარი რეგისტრატორი.

2000–05

„კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი  
საქართველოში“- KFW ბანკის დაფინანსებით-მონაცემთა  
დამუშავების რეგიონალური ცენტრის მენეჯერი

2005– დღემდე

შპს „გეო“-ს დირექტორი.

2006–დღემდე

შ.პ.ს. „ ტერაგრაფიკი “ - კონსულტანტი

2008–დღემდე

„ მიწის მესაკუთრეთა უფლებათა დაცვის ასოციაცია“-  
კონსულტანტი

2009

კვლევითი ინსტიტუტი



თამარ მეღვივა

პირადი ინფორმაცია  
დაბადების თარიღი  
მისამართი  
Tel.  
E-mail

12.05.1990  
მხატვრების დასახლება №4, თბილისი  
+ (995 51) 213 123  
meliva.tamar@yahoo.com

განათლება  
2011- დღემდე

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობა, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია - მაგისტრატურა

2007 -2011

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობა, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია - ბაკალავრი

1 მარტი - 3 ივნისი 2011

რომის სახელმწიფო უნივერსიტეტი "La Sapienza" prima facolta' di Architettura Ludovico Quaroni, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაცია, (თავისუფალი მსმენელი, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტიპენდია)

გამოცდილება  
სექტემბერი -ნოემბერი, 2011

საქართველოს მემკვიდრეობა ტვიზის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია - რეაბილიტაციის პროექტი

ნოემბერი, 2011

ატენის სიონის ტაძრის ნაღესობისა და ქვის საკონსერვაციო სამუშაოები - მდგომარეობის წინასწარი კვლევა

ივლისი - აგვისტო, 2010

საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი, ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია სომიწოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია - ძეგლის შესწავლა, გაწმენდა და აზომვა ჩუენი მემკვიდრეობა

აგვისტო, 2008

აზომვითი სამუშაოები სვანეთში, მესტიის 10 კოშკის რეაბილიტაციის პროექტი

ენების ცოდნა

ქართული  
ინგლისური  
იტალიური  
რუსული

მშობლიური  
თავისუფლად  
კარგად (B2)  
საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD  
Photoshop





# თეზურ ბიბლიური

## რ ე ზ ი უ მ ე

1. თეზურა's ბიბლიური იკანეს ძე
2. მისამართი: თბილისი 0162: ირაკლი აბაშიძის 68
3. ტელ.: 8 (273) 22360 მუხეჯიძე; (+995 32) 227751 ბინა: 899 223181 -  
ბიბლიური
4. დაბადების თარიღი - 1952 წ. 23 სექტემბერი
5. განათლება - უმაღლესი აკად. იუ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის  
სასულიერო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, არქეოლოგია-  
ეთნოგრაფიის სპეციალობით (1973-1978 წ.წ.)
6. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი 1983 წ.
7. სამუშაო გამოცდილება:
  - ა) 1976 წლიდან - საქართველოს მეცნ. აკადემიის მცხეთის მუდმივმოქმედი  
არქეოლოგიური ექსპედიციის (1995 წლიდან არქეოლოგიის ინსტიტუტის)  
მუშა-პრეპარატორი, ლაბორანტი, უფრ. ლაბორანტი, უმც. მეცნ.  
თანამშრომელი, მეცნ. თანამშრომელი, უფრ. მეცნ. თანამშრომელი;
  - ბ) 1985-1995 წ.წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის  
არსებული საქართველოს არქეოლოგიური ფონდის თავმჯდომარის  
მოადგილე;
  - გ) 2001-2009წ - მცხეთის (2002 წ. - დიდი მცხეთის) მუხეჯიძე-ნაკრძალის  
დირექტორი.
- დ) 2009 წლიდან - თბილისის ავ. ქეთათელაძის სახ. სასულიერო სამხატვრო  
აკადემიის ფონდსაცავებისა და საფინანსო კულექციების  
რეაბილიტაციის კოორდინატორი.

1985 – 2011 წ.

### I. პროგრამები:

1. სახლვარგარეთის ქვეყნებში დაცული კულტურულ-ისტორიული  
ფასეულობანი საქართველოდან, იდეა, ავტორი, ხელმძღვანელი, პროგრამა  
ხორციელდება 1987 წლიდან.
2. დიდი მცხეთის მუხეჯიძე-ნაკრძალის განვითარების პროგრამა, 2001-2010 წ.წ.
3. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ხელოვნების სამინისტროს  
“მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლთა რეაქციული  
მონიტორინგის 2004-2005 წ.წ. პროგრამა” “ქალაქ-მუხეჯიძე-ნაკრძალ  
მცხეთის ისტორიული ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის ანგარიში,  
პროგრამის კონსულტანტი.  
„ბიბლიური მემკვიდრეობის ქალაქი“ თბილისი, ხელმძღვანელი, 2009



## განხორციელებული პროექტები

1. პროფ. ალ. კალანდაძის არქივისა და მის მიერ გათხრილ-შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების (სამთავროს სასაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები) სახტამბოდ მომზადება და გამოცემა (სამ ტომად). პროექტის კურატორი. 1980-1984 წ.წ.
2. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ ქ. მოსკოვში განხორციელებული საგამოყენო პროექტის "არქეოლოგია და თანამედროვეობა" მონაწილე. ბრინჯაოს მედლის ღაურეატი. 1981 წ.
3. ქ. მოსკოვში ჩატარებული საკავშირო გამოფენის მონაწილე. 1982 წ.
4. საგამოყენო პროექტი "მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოდან". ქართული კულტურის ცენტრი "მზიერი". იდეა. პროექტი. საექსპოზიციო დიზაინი. გამოფენის დირექტორი. 1991 წ. 27 მასხი - 20 აგვისტო.
5. ს-პეტერბურგის ტრადიციული ხაერთაშორისო გამოფენის "ხაღხური გამოფენებით-დეკორატიული ხელოვნება". ქართული ექსპოზიციის დიზაინი და ორგანიზაცია. 1992 წ.
6. გამოფენა - ქართული კერამიკა ისტორია და თანამედროვეობა". მოსკოვი. რუსეთის ხელოვნების ბიბლიოთეკის საექსპოზიციო დარბაზი. იდეის, პროექტისა და დიზაინის ავტორი. გამოფენის პროექტი. საექსპოზიციო დიზაინი. ორგანიზატორი. 1994 წ.
7. მოსკოვის მუზეუმებსა და არქივებში დაცული კულტურულ-ისტორიული ფასეულობანი საქართველოდან". - გამოფენა, მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი. მოსკოვი. რუსეთის თანამედროვე ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმი. 15 აპრილი - 7 ივლისი 2000 წ. იდეა. პროექტი. დიზაინი. გამოფენის დირექტორი.
8. წმ. შთავარძილამე გიორგის მოსკოვის ქართული ეკლესიის 250 წლის იუბილეადმი მიძღვნილი ღონისძიებების პროექტის თანაავტორი. 2000.
9. პროექტი "არმაზისხევის ისტორიულ-არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაცია-კონსერვაცია" I. მათ-ს ბაზის (მემორიალური შენობის) აღდგენა. პროექტის ავტორი. 1998 წ.
10. "ქართული კულტურა პრობლემები და პერსპექტივები". მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფ-ტისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია. I - 1999 წ. II - 2000 წ. თბილისი - მცხეთა. იდეა. პროექტი. ორგანიზაცია.
11. გამოფენა "დიდი მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები". დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი. კონცეფცია. დიზაინი. 2001 წ.
12. გამოფენა "დიდი მცხეთა ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში". დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის საგამოყენო კომპლექსი სვეტიცხოვლის კათედრის მახლობლად. კონცეფცია. დიზაინი. 2001 წ.
13. გამოფენა "დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი". იქვე. კონცეფცია. დიზაინი. 2002 წ.
14. გამოფენა "დიდი მცხეთა ქართლის სამეფოს დედაქალაქი". (მე. წ. I სათასწ. მე-2 ნახევარი ახ.წ. III-IV ს.ს.). იდეა. კონცეფცია. დიზაინი. 2003 წ.
15. "საქართველოს სამუზეუმო კოლექციების კონსერვაციის მცხეთაში". I. "თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციის აღდგენის კონცეფცია.



- დიზაინი. (ნ. დღონტთან და ბ. გარსევანიშვილთან თანაავტორობით). 2004 წ.
16. დიდი მცხეთის მუხეუმ-ნაკრძალის ფონდებში დაცული ღიათონქანდაკებლობის ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაცია. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი.
  17. მცხეთის სასარაფნოებზე მოპოვებული ოქროს ნაკეთობების ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი. 2002-2004 წ.წ.
  18. რესტავრირებული ღიათონქანდაკებლობის ძეგლების გამოფენა. მუხეუმ-ნაკრძალის სათაო შენობა. კონსერვაცია. დიზაინი. (ნ. დღონტთან და ე. ხოჯერაშვილთან ერთად). 2004 წ.
  19. მუხეუმ-ნაკრძალის საექსპოზიციო ვიტრინების დიზაინი და დაპროექტება. 2002-2005 წ.წ.
  20. "აღმოაჩინე მინა ქართული". დიდი მცხეთის მუხეუმ-ნაკრძალისა და ს.ს. "მინის" ერთობლივი საგამოფენო პროექტი. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის, გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუხეუმების კოლექციების გამოყენებით. იდეა, კონსერვაცია, დიზაინი. (ნ. დღონტთან, ნ. მასხურაშვილთან, თ. გოჭრიაშვილთან და ე. ხოჯერაშვილთან თანაავტორობით). 2005 წ.
  21. "მეღვინეობის ტრადიციები საქართველოში". საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუხეუმ-ნაკრძალის ერთობლივი საგამოფენო პროექტი. პარტნიორები: ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში, ს.ს. "მინა", შ.პ.ს. "ნობელიქი", შ.პ.ს. "მუხრანის ველი", შ.პ.ს. "ბაგრატიონი", შ.პ.ს. "ვასი მენი". გამოფენა-ნატარდა პროგრამის "ევროპული მემკვიდრეობის დღეები - 2006" ფარგლებში. იდეისა და პროექტის ავტორი. მცხეთა. 2006 წ. ოქტომბერი.
  22. "მსხერადლოგია, სამთაბადისო საქმე და ღიათონქანდაკებლობა საქართველოში უძველესი დროიდან დღემდე". დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუხეუმ-ნაკრძალის, შ.პ.ს. კვარციტისა და შ.პ.ს. "მადნეულის" ერთობლივი საგამოფენო პროექტი. იდეისა და პროექტის ავტორი. 2007 წ.
  23. დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუხეუმ ნაკრძალის ანტიკური ხანის ძეგლების გამოფენა. 2008 წ.
  24. სამთავროს ველზე ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების გამოფენა. 2008 წ.
  25. სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის ბაკალავრთა და მაგისტრანთა მიერ დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუხეუმ ნაკრძალის ღიათონქანდაკებლობის, თისისა და მინის ძეგლების აღდგენილი ნიმუშების გამოფენა. 2008 წ.
  26. ხელოვნების ფესტივალი "ნუა-ბორჯომი" I ფესტივალი 25-27 იანვარი; II ფესტივალი 25 მასიხი - 4 ივნისი 2010 წ.

27. ძველი ოსტატები-თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფონდებში დაცული ძველი ფერმწერების (გ.გაბაშვილი, ე.ახელგიაშვილი, თბაღანბერი, ... ) სამუშაოების გამოფენა ტბს-ი ბიხვის საგამოფენო ცენტრში 2009 წ. სექტემბერი

28. რესტორან მცხეთა-ხიტის დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტი-2010 წ. მასიხი-ივლისი



## II. საველე-არქეოლოგიური საქმიანობა

ისტორიული დიდი მცხეთის გათხრების მონაწილე:

1. სამთავროს სამართავანი. 1976-1978, 1998-2001, 2003, 2006 წ.წ.
2. დართისკარის სასიმაგრო კომპლექსი. 1978-79 წ.წ.
3. მუხათგვერდი. I. ადრემუქსასაუკუნეების სამართავანი. 1976 წ.
4. სვეტიცხოვლის მიძღვბარე ტერიტორია. 1978, 1980 წ.წ.
5. ხარკინის ანტიკური ხანის საქალაქარი. 1980 წ.
6. ავღასისკარის ადრემუქსასაუკუნეების სამართავანი. 1979-80 წ.წ.
7. წიწამურის ადრემუქსასაუკუნეების სამართავანი. 1980 წ.
8. აკციის ზადენგორის დამოუკიდებელი რაზმის ხელმძღვანელი. 1981-1985 წ.წ.
9. "ანტიოქის" უბანი. 1998 წ.
10. ნარეკვაის ადრე-რკინის ხანის სამართავანი. 1998-2001 წ.წ.
11. მცხეთის გორის სადაზვერვო-საკონტროლო გათხრები. ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2006 წ.
12. წიწამურის ველზე სადაზვერვო-გადარსენითი გათხრები. 2006 წ.
13. სამთავროს ველზე ახალმშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2008 წ.
14. ნაილურის ციხეზე (საგარეუფოს რაიონი) არქეოლოგიური გათხრები ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2009 წ.
15. ხომიწოს (თნის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახლის ეკლესიის შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელი (საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარსენის ფონდისა და თბილისის სახელმწიფო სამსატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტი- 2010 წ.

16. ნიკორწმინდის კათედრალის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში-არქეოლოგიური კვლევის ხელმძღვანელი-2011 წ. ივლისი-სექტემბერი

## III. გამოქვეყნებული ნაშრომები:

1. "თამა მუწოველის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისთვის" თსუ ისტორიის ფ-ტის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი 1975;
2. სამარხ ნაგებობათა ახალი სახეობა მცხეთიდან. საქართველოს მეცნ. აკად. "მთაბბე" თბილისი. 1979 წ. ტ. 93: №2;
3. ეელსაწურიანი მინის ქურქლის ახალი თარიღი. საქართველოს მეცნ. აკად. "მთაბბე" თბილისი. 1980 წ. ტ. 99: №1;
4. ადრეული ქრისტიანობის ხომბილო მცხეთიდან (თ. სურგულაძეა და მ. მნელაძესთან თანაავტორობით). საქართველოს მეცნ. აკად. "მთაბბე" თბილისი, 1981 წ. ტ. 101: №3;
5. ქრისტიანობის ადრეული ეტაპი საქართველოში. ახალგაზრდა მეცნიერ-მუწამკთა კონფერენციასზე წაკითხული მოხსენების თეხსიხები. თბილისი, 1981;
6. თისის ფიდასამარხები გვიანანტიკური საქართველოს ტერიტორიასზე. ახალგაზრდა მეცნიერ-საზოგადოებრივი ფონდთა III რესპუბლიკურ კონფერენციასზე წაკითხული მოხსენების თეხსიხები. თბილისი, 1981;
7. მცხეთა. 1976-1979 წ.წ. არქეოლოგიური კვლევის-ძიების შედეგები. მცხეთა. ტ. VI. თბილისი, 1982 (ავტორთა კოლექტივი)





8. თიხის ფილასამარხების გავრცელების საკითხისათვის. "მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის "ისტორიის... " სერია. თბილისი. 1982, №3;
9. საინტერესო სამარხეული კომპლექსი მცხეთიდან. ძეგლის მეგობარი. №62. თბილისი. 1982;
10. ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოში. "მნათობი". 1982, №6;
11. ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება საქართველოში (წერილობითი წყაროებისა და სამარხეული ძეგლების მიხედვით). "ხკოდა და ცხოვრება", 1986;
12. ახალი არმაზის ადრექრისტიანული დროის სამაროვანი. საქართველოს მეცნ. აკად. "მთაბე" თბილისი. 1987;
13. დიდი მცხეთა, 1980. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. (ავტორთა კოლექტივი). მცხეთა. ტ. IX. თბილისი 1989;
14. დიდი მცხეთა, 1981. ხაველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. ტ. IX. თბილისი 1989 (ავტორთა კოლექტივი);
15. ვერცხლის თასები ცხენისა და ათაშდანის გამოსახულებით. აკად. ვიოლეტი ნუბინიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სათემბლეო კონფერენციასზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი. 1985;
16. Работы Заленгорского отряда (Месхет-Кавказская экспедиция) ИЛИ в 1984-1985 г.г. Тбилиси 1987;
17. ქართლის პიტასშია არმაზისხევის სამაროვანი (დაკრძალვის წესების გახსნის აღებური ცდა). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. V ტ. თბილისი 1998;
18. არქეოლოგიური გათხრები "ანტიოქიის" უბანზე (ა. აბუთიძესა და ნ. დღობთან თანაავტორობით). კრებული: შაი-ს 1998 წ. ხაველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. თბილისი 1999;
19. ქართლის სამეფოს ქრისტიანობაზე მოქცევა (რელაქურ-ისტორიული და მხატვრულ-ლიტერატურული ქარგა). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. VI ტ. თბილისი 1999;
20. "დიდი მცხეთა და უბანი მისი" (ნ. მასხერაშვილთან თანაავტორობით). ძეგლის მეგობარი. №2 (105) თბილისი, 1999;
21. ქართული კულტურულ-ისტორიული ფასეულობანი საქართველოდან (აკად. ა. აფაქიძესთან თანაავტორობით). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. (მე-2 რესპუბლიკური კონფერენციის მსახადები) VII ტ. თბილისი 1999;
22. ებრაელი ეთნოხი ქართლის სამეფოში (წყაროებისა და ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. მე-13 ტ. თბილისი 2002;
23. საქართველო. კულტურა. ისტორია. საქართველო სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი სათემბლეო კატალოგი. შემდგენელი და პასუხისმგებელი რედაქტორი. მოსკოვი 2000;
24. მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოდან (აღბნი). მ. მარშისხისთან თანაავტორობით. "შესავალი წერილი რუსულ მუზეუმში ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე. მოსკოვი 2004;
25. Храм святого Великомученика и Целителя Георгия в Грузинах. Краткая история. к 250 летию храма Великомученика и Целителя Георгия в Москве Москва 2000 г.



26. Исторические раритеты. Культурно-исторические ценности из Сакартвело в странах зарубежья. Альманах «Иммигрант» №1 Москва 2000 г.
27. ბრინჯაოს ქართული ჭვირული ბადების დახიშნულების შესახებ. აკად. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნების II სამეცნიერო სერიის მასალები. თბილისი, 2001 წ.
28. Археологические исследования в древней столице Грузии Мцхета (соавтор); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "კავკასიის არქეოლოგია (IV) და ეთნოლოგია (III)" მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებული. თბილისი 2002 წ.
29. Еврейская диаспора и раннехристианские общины на территории Великой Мцхета. საერთაშორისო კონფერენცია "ისტორიული ქართულის შესწავლის აქტუალური პრობლემები: თეორიული, მეთოდოლოგიური და კომპიუტერული ასპექტები". თბილისი, 2002 წ., კრებ. "Caucasus" თბილისი 2003 წ.
30. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლის ქიმიური შემადგენლობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი "მეცნიერება და ტექნოლოგიები" №10-12; თბილისი (თანაავტორობით). 2002 წ.
31. გვიანანტიკური ეპოქის საეურეპო სამთავროს სამართლებიდან. ქართულ-რუსული პარალელური ტექსტები. აკად. ივანე ჯავახიშვილის ს.ხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის შრომები. XIV. თბილისი 2003 წ. (ელ. ნივიკოვასთან თანაავტორობით).
32. სამგლოვიარო-სარიტუალო ნივთები დიდი მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამართლებიდან. ისე კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრისა და დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თბილისი, 2003 წ. (თანაავტორობით).
33. აპოლონის ტაძარი მცხეთაში (საკითხის დასმის წესით). იქვე
34. სამთავროს სამართლის ახ.წ. II-IV ს.ხ. არქეოლოგიური ძეგლები. სერია "დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი". I. ქართულ-ინგლისური პარალელური ტექსტები (ნუგ'ზარ დღონტთან თანაავტორობით). თბილისი 2005.
35. აღმოაჩინე მინა ქართული. დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალისა და ს.ხ. "მინის" ერთობლივი გამოფენის კატალოგი. ქართულ-ინგლისურ-თურქული პარალელური ტექსტები (ნუგ'ზარ დღონტთან თანაავტორობით). თბილისი, 2005 წ.
36. Миссионерская деятельность Св. Нино в столице картлийского царства Великой Мцхета. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
37. Ранний этап христианства в Грузии - Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
38. Древнейшие религиозные верования в Грузии. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
39. აპოლონის ტაძარი დიდ მცხეთაში. ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სამკონსერვო. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბილისი 2008.
40. The Apollo temple in didi Mtskheta "Apollo-Sun". Vakhtang Beridze 1<sup>st</sup> international symposium of Georgian culture. Georgian art in the context of European and Asian cultures. Proceedings. Tbilisi 2008.
41. ქართლის სამეფოს და საქართველოს ძირის პელოტიკური და რელიგიური ერთეულობის კვლევა (ახ.წ. III-ის მე-2 ნახევარი).



- ჯერხა ნადირაძის 80 წლის იუბილეხადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციასზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი 2009
42. ქართლის სამეფოს და სასახიდური ირანის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობის ისტორიიდან (ახ.წ. III ს-ის მე-2 ნახევარი). ჯერხა ნადირაძის 80 წლის იუბილეხადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. საიუბილეო კრებულის. თბილისი 2010

#### IV. პედაგოგიური საქმიანობა

1. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. სრული ხაღუქციო კერხი. საქართველოს 'სოვეტური' ხაღური ისტორიი 1989-1991 წწ.
2. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკეში 1989-1991 წწ.
3. ხელოვნების დამოუკიდებელი სკოლა. არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის საფუძვლები. 1990-1991 წწ.
4. არქეოლოგიის 'ხოგადი კერხი. ა. ქეთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 2007 წლიდან.
5. არქეოლოგიის 'ხოგადი კერხი. იგის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2009 წ.



## CURRICULUM VITAE

### პერსონალური ინფორმაცია

სახელი გვარი ნინო ღაღანიძე

მისამართი ქ. თბილისი, იოსელიანის №37, ბინა № 85

ტელეფონი 33 77 07 მობილური 8 (99) 10 96 49

მოქალაქეობა საქართველო

დაბადების თარიღი 01.07. 1959

სქესი მდედრობითი

### სამუშაო გამოცდილება

თარიღი 1981 - 1984

საქმიანობა ან თანამდებობა ლაბორანტი

ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები კვლევითი

დამსაქმებლის დასახელება და მისამართი გ. წუბინაშვილის სახ. ქართული

ხელოვნების ისტორიისა ინსტიტუტი, რუსთაველის გამზირი № 52

საქმიანობის ან სექტორის ტიპი სამეცნიერო

თარიღი 1984 - 2002

საქმიანობა ან თანამდებობა უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები კვლევითი

დამსაქმებლის დასახელება და მისამართი გ. წუბინაშვილის სახ. ქართული

ხელოვნების ისტორიისა ინსტიტუტი, რუსთაველის გამზირი № 52

საქმიანობის ან სექტორის ტიპი სამეცნიერო





თარიღი 2002-2009წწ

საქმიანობა ან თანამდებობა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი  
ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები კვლევითი  
დამსაქმებლის დასახელება და მისამართი გ. წუბინაშვილის სახ. ქართული  
ხელოვნების ისტორიისა ინსტიტუტი, რუსთაველის გამზირი № 52  
საქმიანობის ან სექტორის ტიპი სამეცნიერო

თარიღი 1994 - 1999

საქმიანობა ან თანამდებობა პედაგოგიური  
ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები სალექციო კურსების წაყვანა  
დამსაქმებლის დასახელება და მისამართი ქართული ხელოვნების ისტორიის  
ინსტიტუტთან არსებული ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტი, რუსთაველის  
გამზ. №3  
საქმიანობის ან სექტორის ტიპი პედაგოგიური საქმიანობა

თარიღი 1999 – 2005 წწ

საქმიანობა ან თანამდებობა პედაგოგიური  
ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები სალექციო კურსების წაყვანა  
დამსაქმებლის დასახელება და მისამართი თბილისის სასულიერო აკადემია  
და სემინარია, ხოინის ქ. №13/40  
საქმიანობის ან სექტორის ტიპი პედაგოგიური საქმიანობა

თარიღი 2006 – დღემდე

საქმიანობა ან თანამდებობა პედაგოგიური  
ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები სალექციო კურსების წაყვანა,  
დიპლომანტების და ასპირანტების ხელმძღვანელობა, საკურსო და სადიპლომო  
ნაშრომების რეცენზირება.

დამსაქმებლის დასახელება და მისამართი თბილისის სახ. სამხატვრო  
აკადემია, გრიბოედოვის № 22

საქმიანობის ან სექტორის ტიპი პედაგოგიური საქმიანობა

თარიღი 2006 – 2007

საქმიანობა ან თანამდებობა სრული პროფესორი.



ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები სასწავლო პროცესის წარმართვა

დამსაქმებლის დასახელება და მისამართი თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის № 22

თარიღი 2007 - დღემდე

საქმიანობის ან სექტორის ტიპი - სასწავლო-საორგანიზაციო

საქმიანობა ან თანამდებობა - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები სასწავლო პროცესის კოორდინაცია, სასწავლო პროგრამების კოორდინაცია, ხრისხის შეფასებისა და განვიტარების უზრუნველყოფა.

დამსაქმებლის დასახელება და მისამართი თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის № 22

საქმიანობის ან სექტორის ტიპი სასწავლო-საორგანიზაციო

თარიღი 1998 – 2004

საქმიანობა ან თანამდებობა სიწმინდეთა მოძიებისა და კვლევის განყოფილება

ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები მეცნიერი თანამშრომელი დამსაქმებლის დასახელება და მისამართი საქართველოს საპატრიარქო, სიონის ქ. № 13/40

საქმიანობის ან სექტორის ტიპი სამეცნიერო კვლევა

თარიღი 1998 – 2004

საქმიანობა ან თანამდებობა სიწმინდეთა მოძიებისა და კვლევის განყოფილება

ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები საპატრიარქოს სამხატვრო საბჭოს წევრი

დამსაქმებლის დასახელება და მისამართი საქართველოს საპატრიარქო, სიონის ქ. № 13/40

საქმიანობის ან სექტორის ტიპი სამეცნიერო კვლევა



თარიღი 1990 – დღემდე  
საქმიანობა ან თანამდებობა სარედაქციო საბჭოს წევრი  
ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები შემოსული მასალის  
რედაქტირება, რეცენზირება.  
დამსაქმებლის დასახელება და მისამართი გ. წუბინაშვილის სახ. ქართული  
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, შ. რუსთაველის სახ. ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალი “ლიტერატურა და ხელოვნება”  
საქმიანობის ან სექტორის ტიპი საგამომცემლო, საორგანიზაციო

თარიღი 2000 – დღემდე  
საქმიანობა ან თანამდებობა რედაქტორის მოადგილე  
ძირითადი საქმიანობა და პასუხისმგებლობები საგამომცემლო საქმიანობა  
დამსაქმებლის დასახელება და მისამართი თანამედროვე სამეცნიერო  
კვლევების ასოციაცია ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი “ACADEMIA”,  
მოსაწვილის ქ. №1, მე-5 სად., მე-2 სართული.  
საქმიანობის ან სექტორის ტიპი საგამომცემლო საქმიანობა

### განათლება ან განსწავლა

თარიღი 1976 – 1981  
მიღებული კვალიფიკაციის დასახელება ხელოვნებათმცოდნე  
განათლების მიმცემი ორგანიზაციის სახელი და ტიპი თბილისის სახ.  
სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის № 22, უმაღლესი

თარიღი 2006  
მიღებული კვალიფიკაციის დასახელება ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა  
დოქტორი  
კვალიფიკაციის მიმცემი ორგანიზაციის სახელი და ტიპი გ. წუბინაშვილის  
სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემია.

### პერსონალური უნარები და კომპეტენციები

მშობლიური ენა ქართული  
სხვა ენა ინგლისური, რუსული



თვითშეფასება	გაგება		საუბარი		წერა
	სმენა	კითხვა	თანამოსაუბრობა	თავისუფალი საუბარი	
ევროპული დონე					
რუსული	+	+	+	+	+
ინგლისური	+	+	+	+	+

სოციალური უნარები და კომპეტენციები

კომუნიკაბელურობა.

პედაგოგიური მოღვაწეობის 12 წლიანი სტაჟი.

სხედასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება – შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტი; ს. ჯანაშია სახ. ეროვნული მუზეუმი, საბაზო და გარდამავალი საფეხურის სკოლის მოწაფეებთან.

სხედასხვა სოციალურ ფენასთან, თემთან მუშაობის გამოცდილება – საქართველოს საპატრიარქოს სიწმიდეთა მთციებისა და კვლევის განყოფილების პროექტის ფარგლებში.

სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობა – საქართველოს კულტურის სამინისტრო, სამხატვრო სკოლების სტანდარტისა და სასწავლო პროგრამების ავტორი.

რეკენზირება – თსს აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომები.

რედაქტორობა, რეკოლექციების წვერობა – გ. ნუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია, საქართველოს სასულიერო აკადემია და სემინარია, თანამედროვე სამეცნიერო კვლევების ასოციაცია.

ორგანიზაციული უნარები და კომპეტენციები სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების გამართვის ორგანიზება, პროექტების ხელმძღვანელობა, გამოცემების ორგანიზება, – გ. ნუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, თანამედროვე სამეცნიერო კვლევების ასოციაცია.

ტექნიკური უნარები და კომპეტენციები ფოტოგრაფია

კომპიუტერული უნარები და კომპეტენციები





## დამატებითი ინფორმაცია

დისერტაციების და დიპლომების ხელმძღვანელობა  
თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიისა და თბილისის სასულიერო აკადემიის  
სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნაშრომების ხელმძღვანელი

დისერტაციის ოპონირება

ნინო ჭოლოშივილის საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი, 2006.

მზია ჩიხრაძის საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი, 2006

ნათია რამიშივილის სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი, 2010

სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

2009 - საერთაშორისო სიმპოზიუმი “საქართველო კულტურათა  
გზაჯვარედინზე” ფლორენცია, იტალია

2007 – საერთაშორისო სიმპოზიუმი “საქართველო. წარსული და აწმყო”,  
აშშ, კოლუმბიის უნივერსიტეტი

2004 - გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის  
სესია მიძღვნილი ე. ბერიძის 90 წლისთავისადმი. თბილისი.

1999 – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის  
სესია მიძღვნილი გ. ალიბაგეშვილის ხსოვნისადმი. თბილისი

1994 – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის  
სესია. თბილისი.

1993 – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის  
სესია. თბილისი.

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

- გრანტი პროექტისათვის “XVIII ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის 20-იან წლებში  
საქართველოში მოღვაწე უცხოელი მხატვრები”. ფონდი “ღია საზოგადოება –  
საქართველო”. 2002-2003.

- გრანტი პროექტისათვის “საერო პირთა გამოსახულებანი შუა საუკუნეების  
ქართულ სახეით ხელოვნებაში”. ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”.  
2004-2005.

საკვალიფიკაციო საბჭოებისა და კომისიების წევრობა

2004-2005 წწ. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის  
სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის კომისიის წევრი და თანამედროვე  
ხელოვნების კომისიის წევრი

2009 წლიდან თსსა სადისერტაციო საბჭოს წევრი

სახელმძღვანელოს ავტორობა

ხელოვნება. I-X კლასის სახელმძღვანელოები ზოგადსაშუალო სასწავლებლო  
სკოლებისათვის ( თანაავტორი ა. კლდიაშვილი)



ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების სია

- ირაკლი ფარჯიანის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი. ლიტერატურა და ხელოვნება, №6, 1991;
- ჯვარცმის კომპოზიცია ნესეუნიდან, ლიტერატურა და ხელოვნება, №1,2, 1992
- ირაკლი ფარჯიანი და 80-იანი წლების ქართული მხატვრობა, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ნარკვევები, 1999;
- ქართული ფერწერა. XX ს-ის ოსტატები, კატალოგი, 1999;
- ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ირაკლი ფარჯიანის შემოქმედებაში, ACADEMIA, ტ.3, 2002
- საეკლესიო და საერო ხელოვნების ურთიერთმიმართებისათვის, თბ., 2005.



## დარყის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

### წინასწარული არქიტექტურული და სახელოვნებადმცოდნეო შეფასებები .

ეკლესია მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ დარყადან 4 კმ-ში, მთის ბორცვზე გაშლილ შერეული ტყის მასივში ( ფოტო 1); ნაგებობა, ამ რეგიონში არსებული გარდამავალი ხანის დარბაზული ტიპის ეკლესიების ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშია. გეგმაში სწორკუთხა დარბაზული ეკლესია (7.99X5.51მ) ნაგებია კირხსნარით შემაგრებული რიყისა და ადგილობრივი კლდის ფლეთილი ქვით. 0.77მ. სისქის კედელს ეფუძნება კამარა. შესასველი კარის ღიობები გაჭრილია დასავლეთ და სამხრეთ კედლებში; ორივე კარის ზღუდარად გამოყენებულია არქიტრავის ქვა. შიდა სივრცეს ანათებს აბსიდში, დასავლეთ და სამხრეთ კედლებში სამი სარკმელი.

საკუროთხველის აბსიდი დარბაზისგან გამოყოფილია ერთი საფეხურით. საკმაოდ ამადლებული საკუროთხველის ამბიონის ცენტრში გამართულია სამ საფეხურიანი ასასვლელი. აქვეა საკმაოდ მოზრდილი კანკელის ბაზებიც. აბსიდში სარკმლის ქვემოთ გამართულია ტრაპეზი.

ეკლესიის ზეძირკველი დაფარულია მიწის საკმაოდ სქელი ფენით. სახურავის სიმაღლე მიწის დღევანდელი ზედაპირიდან - 4.87 მ.

კრამიტით გადახურულ ორქანობა სახურავს გაუყვება თარო-კარნიზი. ეკლესიის სამხრეთ კედელთან სავარაუდოა მინაშენი, რომლის შ მონაკვეთზე შესაძლოა გამართული ყოფილიყო კრიპტა (?)( ფოტო 2); თუმცა, დაბეჯითებით ამის დადასტურება ან უარყოფა ამ ეტაპზე შეუძლებელია. მოსალოდნელია, რომ დამატებითმა კვლევამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს ჩვენს წინასწარულ მოსაზრებაში.

ეკლესიას ნაწილობრივ დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. ყველაზე ძლიერ დაზიანებულია აღმოსავლეთი ფასადი (ფოტო 3). ჩამოშლილია ფრონტონი, მის ქვემოდ არსებული საპირე წყობა, სარკმლის წითხლები და თარო -კარნიზი;



ქვემოდ არსებული საპირე წყობა, სარკმლის წირთხლები და თარო -კარნიზი; სამხრეთ ფასადზე, ნახევარი მეტრის მონაკვეთზე, ჩამოშლილია ლავგარდანი და მის ქვემოდ არსებული საპირე წყობა (ფოტო 4); სარკმლის წირთხლი პერანგშემოცლილია (იხ. ფოტო №5); დაზიანებულია დასავლეთი ფასადის ფრონტონი, კარნიზი და მიმდებარე საპირე წყობის ფრაგმენტები. ჩრდილოეთის ფასადის პირვანდელი სახე შედარებით უკეთაა შენარჩუნებული (ფოტო 6). ფასადის ცენტრში, მცირე მონაკვეთზე, ჩამოცვენილია საპირე წყობა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში - კარნიზი.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ეკლესია გარე პერიმეტრზე სხვადასხვა დონეზე დაფარულია მიწით. არსად არ იკითხება ზეძირკველი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადი, სადაც მიწის ზედაპირის დონე სამხრეთი ფასადის კარის ზღურბლთან მიმართებაში 1.00-1.50 მ-ით მაღლაა. ეკლესიის დასავლეთი კარის დიობი ამჟამად ამოშენებულია.

ეკლესიას სხვადასხვა გახსნილობის და კონფიგურაციის ბზარები აქვს განვითარებული, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებულია აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების სარკმლებისა და სამხრეთი კარის მიდამოებში. მცირე გახსნილობის ბზარი შეინიშნება ჩრდილო და დასავლეთი კედლების შეუღლების ვერტიკალში;საპირე წყობაში ალაგ-ალაგ შეინიშნება დუღაბისა და ქვის გამოქარვა-გამოტუტვის ნიშნები.

ძველი დაფარულია სხვადასხვა სახეობის მცენარეული საფარით

აღნიშნულის გათვალისწინებით, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ დარყის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციისათვის საჭიროა განხორციელდეს შემდგომი სამუშაოები:





- ტერიტორია განთავისუფლდეს მიწის ნაყარისაგან, არქეოლოგიის მეთვალყურეობით.
- აღდგეს დაზიანებული ფასადების საპირე წყობები.
- აღდგეს სარკმლების წირთხლები.
- აღდგეს ფრონტონები და თარო -კარნიზები.
- მოეწყოს სახურავის ბურული, ხის ნივნივებზე ტონირებული თუნუქით. თავდაპირველად ეკლესია გადახურული იყო კრამიტით; იმის გათვალისწინებით, რომ ძეგლი მდებარეობს დასახლებული პუნქტიდან საკმაო დაშორებით, ტყიან მასივში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბურულის პირვანდელი სახის(კრამიტის) შეცვლა ტონირებული თუნუქით.
- ეკლესიის გარე პერიმეტრზე განხორციელდეს მიმდებარე ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება. დადგინდეს ტერიტორიის ნიშნულები შიდა სივრცესთან (იატაკთან) მიმართებაში;
- რელიეფის გათვალისწინებით მოეწყოს საყრდენი კედლები;
- ნაგებობისაგან ატმოსფერული ნალექების არიდების მიზნით მოეწყოს სარინელი.
- ძეგლი და ახლომდებარე ტერიტორია გაიწმინდოს ბიოსაფარისაგან.

საკულტო ნაგებობის ზემოთ ჩამოთვლილი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად გამოყენებული იქნება: ა) გარე პერიმეტრზე, მიწის ზვინულების მოხსნის შემდეგ გამოვლენილი ავთენტური არქიტექტურული და კონსტრუქციული ელემენტები; ბ)იქვე არსებული კედლის მასივიდან მოჭრილი და მდინარეული რიყის ქვარომელიც ვიზუალურად იდენტურია ეკლესიის ასაგებად გამოყენებული მასალისა ( პექტროგრაფიულმა ანალიზის შედეგებმა,



შესაძლოა გარკვეული კორექტივი შეიტანოს ჩვენს წინასწარულ ვარაუდში); გ) კირი და ადგილობრივი მდინარეული ქვიშა; დ) ანტისეისმური სარტყელი - ჰიდროსაიზოლაციო ხსნარით დაფარული არმირება.

26.02.2012

არქიტექტორი *მ. ჯგაბუნია* მ. ჯგაბუნია





სურ.1



სურ.2





სურ.3



სურ.4








სურ.5



სურ.6



დარვის წმ. გიორგის ეკლესია  
მ 1:50



■ აღსადგენი ნაწილი

საჩხერის რაიონში სოფ. დარყაში მდებარე წმ. გიორგის სახელობის  
ეკლესიის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა

ვიზუალური ტექნიკური გამოკვლევა შესრულებულ იქნა  
წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, რომელიც  
ითვალისწინებს:

- შენობის ვიზუალურ დათვალიერებას;
- აზომვითი სამუშაოების ჩატარებას;
- მზიდ კედლებში არსებული დეფორმაციების (ნაპრალების, ბზარების) აღნუსხვას და მათ ფოტოფიქსაციას;
- სამშენებლო მასალის (ქვა, დულაბი) ხარისხის შეფასებას;
- კვლევის შედეგების ანალიზს და დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავებას.

აღნიშნული კვლევები და რეკომენდაციები ჩატარებული და  
შემუშავებული იქნა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა  
და წესების მოთხოვნების მიხედვით

გამოსაკვლევი ობიექტი გარდამავალი ხანის დარბაზულ  
ეკლესიათა ტიპს განეკუთვნება. გეგმით სწორკუთხა დარბაზული  
ეკლესია (7.99X5.51მ) ნაგებია ფლეთილი ქვით, კედლის სისქე  
0.77მ-ია, რომელსაც ეყრდნობა კამარა. შესასველი კარის ღიობები  
გაჭრილია დასავლეთ და სამხრეთ კედელში, ორივე კარის  
ზღუდარად გამოყენებულია არქიტრავის ქვა. შიდა სივრცეს ანათებს  
სამი სარკმელი: ერთი მდებარეობს საკურთხევლის აბსიდში, მეორე  
დასავლეთ, ხოლო მესამე - სამხრეთ კედელზე. საკურთხევლის  
აბსიდი დარბაზისგან გამოყოფილია ერთი საფეხურით, ამბიონი





საკმაოდ ამაღლებულია. ეკლესიის ზეპირკველი არ იკითხება და დაფარულია მიწით. დღევანდელი მიწის დონიდან 4.87 მ-ის სიმაღლეზე ორქანობა სახურავს გაუყვება თაროკარნი. სახურავი თავდაპირველი სახით სავარაუდოდ კრამიტით იყო მოწყობილი.

შენობის ვერტიკალურ მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ფლეთილი ქვით ნაგები კედლები. კედლის წყობა განხორციელებულია კირღულაბის ხსნარზე. რაც შეეხება კამარას იგი ამოყვანილია რიყის ქვით კირღულაბის ხსნარზე.

კვლევის მომენტისათვის დაფიქსირდა, რომ მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი. ჩამოშლილია ფრონტონი და მის ქვემოდ არსებული საპირე წყობა, მიწის ნიშნულიდან სამი მეტრის ზემოთ. ნგებობის სამხრეთ ფასადზე ჩამოშლილია კარნიზი და მის ქვემოდ არსებული საპირე წყობა დაახლოებით ნახევარი მეტრის მონაკვეთში. დაზიანებულია დასავლეთი ფასადის ფრონტონი, კარნიზი და მასთან მიმდებარე საპირე წყობის ფრაგმენტები. რაც შეეხება ჩრდილოეთის ფასადს ის შედარებით უკეთესადაა შენარჩუნებული. მცირე მონაკვეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩამოშლილია კარნიზი. დეფორმირებული და ნაწილობრივ ჩამოშლილია (ფასადის ცენტრში) ლავგარდანის ქვემოთ არსებული საპირე წყობის მცირე ფრაგმენტი. ეკლესიის სახურავის ბურული სრულადაა მოშლილი, შენარჩუნებულია მხოლოდ კამარის წყობა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ვიზუალური ტექნიკური გამოკვლევით დადგინდა, რომ ეკლესიის შენარჩუნებულ მზიდ კედლებში განვითარებულია სხვადასხვა ხასიათის და კონფიგურაციის ბზარები. კერძოდ: აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხევლის აბსიდში, სარკმლის ხელუდარს ზემოთ და ძირის ნიშნულს ქვემოთ განვითარებულია მცირე გახსნილობის (5-8 მმ) ბზარი. ასევე მცირე გახსნილობის ბზარები შეინიშნება სამხრეთ



ფასადზე შესასვლელ კარსა და მის მიმდებარედ მოწყობილი სარკმლის არეალში. ჩრდილოეთ და დასავლეთ ფასადის მზიდი კედლების შეუღლების ადგილში წარმოქმნილია მცირე გახსნილობის ვერტიკალური ბზარი, რომელიც იკითხება როგორც შიდა სივციდან ასევე ჩრდილო ფასადის კუთხეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კედლის წყობებში და კამაროვან გადახურვაში სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი და რიყის ქვა კირ დუღაბის ხსნარზე. ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის და ხანგრძლივი ექსპლუატაციის ფონზე კედლის წყობის გარკვეულ უბნებზე დაზიანებულია ფლეთილი ქვის სტრუქტურა, ზედაპირებზე მოკიდებულია ხავსი. მზიდი კედლების ზედა სივციებში კირის დუღაბის სიმტკიცე არაა დამაკმაყოფილებელია, ლითონის წკირის ზემოქმედებით დუღაბი ადვილად იშლება. სახურავზე და კედლის გარკვეულ ფრაგმენტებზე აღმოცენებულია სხვადასხვა ჯიშის ხეები (იხ.ფოტომასალა).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ჩატარებული ტექნიკური და ვიზუალური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ დარყაში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. ძეგლი საჭიროებს გადაუდებელ აღდგენა-გაძლიერებით და სარესტავრაციო სამუშაოებს, რომელიც სავარაუდოდ მიცავს: ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდას მიწისაგან; კედლების და სახურავის გაწმენდას მცენარეული საფარისაგან; დაზიანებული წყობისა და სიმტკიცედაქვეითებული კირდუღაბის უბნებში საპირე წყობის დემონტაჟს და ხელახალ გადაწყობას; ჩამოშლილი საპირე წყობებისა და თაროკარნიზის აღდგენას; გამოქარული კირდუღაბის სანაცვლად საპირე წყობების



ახალი ბათქაშით შევსებას; მზიდ კედლებში არსებული ბზარების ინექცირებას; კარნიზის დონეზე ანტისეისმური სარტყლის მოწყობას; სახურავის ხის კონსტრუქციებისა და ტონირებული თუნუქის ბურუნის მოწყობას.

აღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს სპეციალურად ამ მიზნით დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომლის სრულყოფილი შედგენისათვის აუცილებელია:

- ტერიტორიის ტოპოგადაღება.
- მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა.
- სახელოვნებადმცოდნეო კვლევა.
- არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვითი სამუშაოები
- დასაძირკვლების პირობების დადგენა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.
- დეტალური კონსტრუქციული ტექნიკური გამოკვლევა.

ზემოთ ჩამოთვლილი კვლევა-ძიების განხორციელების შემდგომ, წინასწარ განსაზღვრულ ძეგლის სარეაბილიტაციო ღონისძიებებს შესაძლოა დაემატოს რიგი სამუშაოები, რომელიც ასახული იქნება პროექტის საბოლოო ვერსიაში.

კონსტრუქტორი



დავით რამიშვილი



ფოტომასალა





საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. დარყაში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის განთავსების ადგილის საინჟინრო გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების წინასწარი შეფასება

შესავალი

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. დარყაში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის განთავსების ადგილის გეოტექნიკური პირობების წინასწარი კვლევა ჩატარდა ა.წ-ის თებერვალში.

კვლევის მიზანს, ზემოთმოყვანილის გარდა წარმოადგენდა ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის და საძირკვლის სავარაუდო ვარგისიანობის დადგენა.

დარყის წმ. გიორგის სახ. ეკლესია მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილის ხეობაში, სოფ. ჭალასა და სოფ. დარყას შორის, სამხრეთული ექსპოზიციის მთაგორიან რელიეფზე, 997.0 მ. აბსოლუტურ სიმაღლეზე. ეკლესია მდებარეობს დასახლებული პუნქტებისგან მოცილებით, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან – დარყასთან, მას აკავშირებს გრუნტის გზა. მანძილი კვლევის ობიექტსა და მუნიციპალიტეტის ცენტრს შორის შეადგენს დაახლოებით 15.0 კილომეტრს.

წმ. გიორგის სახ. ეკლესია (კვლევის ობიექტი) დარბაზული ტიპისაა აგებულია VII საუკუნეში. ნაგებობის ძირითადი ნაწილი ნაშენია თლილი ქვით, რომელიც ზოგიერთ ფრაგმენტებში შევსებულია ყორე ქვით. ტაძრის ზომებია 5.61X7.99 მ.

1. ფიზიკურ – გეოგრაფიული პირობები  
(რელიეფი, ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია)

ეკლესიის განთავსების ადგილის და მიმდებარე ტერიტორიის რელიეფი საშუალომთიანია, ხასიათდება რბილი მომრგვალებული ფორმებით, ფორმიფრებულია პალეოგენური ასაკის ქვიშოვანი კლდოვანი ქანების სუბსტრატზე. რელიეფის თანამედროვე იერის ჩამოყალიბებაზე ძლიერი გავლენა იქონია ეროზიულ-დენუდაციურმა პროცესებმა. ტერიტორიის ჰიდროგრაფიული ქსელი მეჩხერია წარმოდგენილია მდ. ყვირილის მარცხენა შენაკადის – ჭალისხევის უსახელო შენაკადებით – მცირე მდინარეებით და სეზონურად წყლიანი ხეობით. ტერიტორიის ეროზიული დანაწევრების სიხშირე (კოეფიციენტი) არ აღემატება 0.5 კმ/კმ<sup>2</sup> –ს.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია წარმოადგენს ეროზიულ-დენუდაციურ მასივს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მდინარეთა საკმაოდ ღრმა ხეობები და სუსტად ეროდირებული, ხშირად საფეხუროვანი წყალგამყოფები.

2. გეოლოგიური აგებულება და გეოდინამიკური პირობები

წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის განთავსების ტერიტორია აგებულია პალეოგენური ასაკის ვულკანოგენური და დანალექი ქანებით. უშუალოდ



ეკლესიის განთავსების ადგილზე ძირითადი ქანი ზედაეოცენური ქვიშაქვაა. დასახელებული ძირითადი ქანი გადაფარულია 1.0-1.5 მ-მდე სიმძლავრის ელუვიურ-დელუვიური გრუნტებით. ქვიშაქვა ზედაპირზე ძლიერ გამოფიტულია, და უნდა წარმოადგენდეს ეკლესიის საძირკვლის საგებს.

მდ. ყვირილის ხეობის ფერდობებზე ეგზოგენური გეოლოგიური პროცესებიდან განვითარებულია ეროზიული და ლოკალურად მეწყრული პროცესები. უშუალოდ ეკლესიის განთავსების ადგილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესები განვითარებული არ არის.

### 3. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები

სავარაუდოდ ეკლესიის საძირკველი ლენტური ტიპისა უნდა იყოს (ყორე ქვის წყობა კირის დულაბზე)

